პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 18 აგვისტო 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი ამბიონი

184 (882)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24

განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## ხელი შეუწყვე სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფას.

მოახლოვდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის დრო. ამ მომენტს საბჭოთა რესპუბლიკის ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სასოფლო სამეურნეო გადასახადი არის ერთად ერთი მთავარი საფუძველთაგანი, რომელზედაც აშენებულია ჩვენი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს კეთილდღეობა.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადს საბჭოთა მთავრობა კრეფს იმიტომ, რათა ის მოახმაროს ისევ ხალხის საჭიროებებს, როგორც მაგალითად ამავე სასოფლო მეურნეობას, განათლებას, ჯანმრთელობას, მშრომელთა დაცვას და სხვა. იმიტომაც რაც უფრო ადრე და მთლიანად შეიკრიბება ეს გადასახადი მით უკეთესია საბჭოთა სახელმწიფოსათვის და მთელი მშრომელი ხალხისათვის, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა მეტად ხელსაყრელ პირობებში ხდება წლეულს.

პირველ ყოვლისა მას ხელს უწყობს კარგი მოსავალი. მეორედ საბჭოთა მთავრობამ შარშანდელთან შედარებით საგრძნობლად შეამცირა თვით გადასახადის რაოდენობა.

ყოველივე ეს ცხადია სრულ შესაძლებლობას აძლევს ჩვენ გლეხს პირნათლად მოიხადოს თავისი მოვალეობა მუშურ-გლეხურ ხელისუფლების წინაშე და თავის დროზე შეიტანოს ხვედრი გადასახადი.

გადასახადის თავის დროზე შეტანა აუცილებელია აგრეთვე იმიტომაც, რათა დროულად გაეწიოს დახმარება ზოგიერთ დემშეულ კუთხეებს. როგორც ვიცით მიუხედავათ კარგი საერთო მოსავლისა, ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთ ნაწილებში მოსავალი ცუდი იქნება, მაგალითად საქართველოში—გურიაში. აი ამ მოუსავლიანობით დაზარალებულ კუთხეებს დაუყონებლივ უნდა აღმოეჩინოს დახმარება. ამის გაკეთებას საბჭოთა მთავრობა მით ადრე შესძლებს, რამდენად სწრაფად შეკრეფს სასოფლო-სამეურნეო გადასახადს.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფაში ყოველ მხრივ ხელი უნდა შეუწყოს საბჭოთა მთავრობას შვებულმა წითელ არმიელმა.

მან ფართე აგიტაცია და პროპაგანდა უნდა გასწიოს გლეხებში გადასახადის დროულად აკრეფის სასარგებლოდ. შვებულმა უნდა აუხსნას გლეხებს გადასახადის მნიშვნელობა და მისი დანიშნულება.

და არა თუ მარტო უვადო შვებულებაში წასულ წითელ არმიელებმა, არამედ ნამდვილ სამსახურში მყოფ მოლაშქრეებმაც თავის წერილებში სახლში ერთსულოვნად უნდა მოუწოდონ თავის სოფლელებს თავის დროზე შეიტანონ სასოფლო-სამეურნეო გადასახადი და მით ხელი შეუწყონ მუშურ-გლეხური სახელმწიფოს განმტკიცებას.

ამრიგად ყოველი წითელ არმიელი მხნედ უნდა ამოუდგეს გვერდში საბჭოთა ხელისუფლებას და ყოველ მხრივ უნდა დაეხმაროს მას სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თავის დროზე აკრეფაში.

## ჩინეთის რეაქცია შეტევაზე გადავიდა.

ჩინეთში კვლავ იღვრება მუშების სისხლი.

და ამ შემთხვევაში მშრომელთა ჯალათების როლში გამოდიან თვით ჩინეთის კონტრრევოლიუციონერები.

ფართო საგაფიცვო მოძრაობა, რომელიც ამ რამოდენიმე კვირების წინად მოედო მთელ ჩინეთს არ გადაქცეულა მასების რევოლიუციონურ აჯანყებად უცხოეთისა და შინაურ მყვლეფელების წინააღმდეგ. ჩინეთის რევოლიუციონურად განწყობილ მუშებს არ აღმოუჩნდა ღირსეული ხელმძღვანელი, რომელსაც შეეძლო მათი წაყვანა უცხოელ მოძალადეებისა და შინაურ ამწიოკებლების წინააღმდეგ. ცნობილი გომინდანის პარტია უძლური აღმოჩნდა სათავეში ჩასდგომოდა ჩინეთის ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას. მისი ენერგია და ძალა გაანახევრა პარტიის შიგნითა ბრძოლამ მემარჯვენე და მემარცხენე ფრთებს შორის.

ყოველივე ეს საუცხოვოდ შეიგნეს უცხოელ იმპერიალისტებმა და გადასწყვიტეს ამ მათთვის სახიფათო მოძრაობის შეიარაღებული ძალით ლიკვიდაცია.

როგორც ცნობილია უცხოელი მოძალადეები აჯანყებულების წინააღმდეგ ყოველთვის ადგილობრივ კონტრრევოლიუციონერებს იყენებენ.

ასევე მოიქცენ ისინი ჩინეთშიც.

ინგლისისა და ამერიკა—იაპონიის იმპერიალისტების კურთხევით ჩინეთის მოძრაობის ჩაქრობას შეუდგა ცნობილი რეაქციონერი ღენერალი ჩჟან-ზო-ლინი, რომელიც მარჯვნივ და მარცხნივ ჰყიდის ჩინეთის ხალხის ინტერესებს. როგორც უკანასკნელი რადიო გადმოგვცემს ჩჟან-ზოლინის ჯარებმა უკვე აამუშავეს თავისი ტყვიამფრქვევები გაფიცულ მუშების წინააღმდეგ. მაგალითად დღევანდელი რადიო გადმოგვცემს, რომ ტიან-ცზინში იაპონიის ქარხანაში გაფიცულ მუშებს ჩჟან-ზო-ლინის ჯარებმა სროლა აუტეხეს და 60 კაცამდე მოკლეს.

გარდა ამისა დააპატიმრეს 500 გაფიცული მუშა.

და არა თუ მარტო ტზიან-ცზინში, არამედ ჩინეთის სხვა ადგილებშიაც დაიწყო გაფიცულ მუშების და სტუდენტების სასტიკი დევნა.

ამრიგად ჩინეთის კონტრრევოლიუცია გადავიდა შეტევაზე და სისხლის მორევში აპირებს ჩინეთის ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობის ჩარჩობას. მაგრამ არა დიდი ხნით იზეიმებს ის თავის გამარჯვებას.

ყოველივე ეს უნაყოფოდ არ ჩაივლის ჩინეთის მუშებისა და გლეხებისათვის. დღევანდელი დამარცხების მწარე დღეები საუკეთესო გაკვეთილი იქნება მისთვის. გავა ცოტა ხანი და ის კვლავ აღმართავს აჯანყების დროშას. და მაშინ ის დაიჭერს ბრძოლის სწორ ხაზს.

ის იბრძოლებს არა მშვიდობიან დემონსტრაციების გზით, რამაც ის დამარცხებამდე მიიყვანა, არამედ იარაღით ხელში ბარიკადებზე.

შორს არ არის ის დრო, როდესაც ჩინეთის პროლეტარიატი შეიარაღებული ხელით დაამხობს უცხოელ და შინაურ მყვლეფელების მონობის ბორკილებს და მრავალტანჯულ ჩინეთის თავზე სამუდამოდ მაღლა ააფრიალებს თავისუფლების და გამარჯვების წითელ დროშას.

—ე.

# ახალი რადიო-ამბები

## ჩინეთის რეაქცია იარაღით უსწორდება მუშებს.

ჩინეთში იფეთქა ახალმა გაფიცვებმა.

მიტინგის დროს ჯარებმა დაჭხვრიტეს რამოდენიმე კაცი და დააპატიმრეს 500 მეტი მუშა.

მუშათა ორგანიზაციების სახლები დაკავებულია ჯარებით.

ზოგიერთ სამრეწველოს მუშებს ძალად ამუშავებენ შეიარაღებული მცველები.

ტიანცზინში დახურულია საზოგადოებრივი ორგანიზაციები და აკრძალულია ყოველგვარი კრება.

10 აგვისტოს იაპონიის საფეიქრო „იუნგტაში" იფეთქა გაფიცვებმა.

11 აგვისტოს ჩან-ძო-ლინის წარმომადგენელმა ტიანცზინში გადაგზავნა გაფიცვების ადგილზე სამხედრო რაზმი. მუშებმა მიმართეს ჯარისკაცებს განცხადებით, რომ ჩინელმა ჯარისკაცებმა უნდა დაიცვან ჩინეთის მუშები იაპონიის კაპიტალისტებისაგან. მუშებმა სთხოვეს დაეპატიმრებიათ იაპონიის ადმინისტრაცია და ღირსეულად დაესაჯათ ის. მაგრამ რაზმის სარდლობამ დაუწყო მუშებს ცემა.

ჯარისკაცებსა და მუშებს შორის გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა. მოვიდა ახალი რაზმები და ასტეხეს სროლა. მოკლულია 6 მუშა, დაიჭრა მრავალი. 20 კაცზე მეტი დაპატიმრებულია.

ამის გამო გაიფიცა სხვა სამრეწველოების მუშებიც, რომლებიც მოითხოვენ პატიმართა განთავისუფლებას და სისხლისმღვრელ შეტაკებათა შეწყვეტას.

12 აგვისტოს გაიმართა მუშათა მრავალრიცხოვანი მიტინგი. მიტინგს გარს შემოერტყა ჯარისკაცთა ხუთი ათასიანი რაზმი, რომელსაც უბრძანეს სროლა.

მოკლულ იქნა 20 კაცი. ბევრი მუშა დაიხრჩო არხში. დააპატიმრეს 500 მუშა და მრავალი სტუდენტი. მუშების შესაშინებლად ჯარებს დაჰქონდათ ქუჩებში მოკლულთა გვამები და მოათავსეს რამოდენიმე გვამი კავშირის კარებთან. ყველა მუშათა ორგანიზაციების სახლები დაკავებულია ჯარებით. ტიან-ცზინის სამხედრო ძალებმა ძალად დააბრუნეს გემებზე მომუშავე მუშები. მათ თავს ადგია მცველები და ძალად ამუშავებენ.

## მდგომარეობა ტიან-ცზინში.

მუკდენიდან ტიან-ცზინში გაგზავნილ იქნა ჟანდარმთა რაზმი. აკრძალულია ყოველგვარი კრება, „შემჩნეულ" პირებს აპატიმრებენ. დახურულია ყველა კავშირები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებსაც კი ჰქონდათ დამოკიდებულება ეროვნულ მოძრაობასთან.

გამოირკვა, რომ ფაბრიკის ადმინისტრაციის გამცემლობით აღშფოთებულმა მუშებმა დაანგრიეს ფაბრიკები და მანქანები. ზარალი დიდია.

პეკინის საზოგადოებრივი წრეები აღშფოთებულია მომხდარ ამბებით.

პოლიცია სასტიკ ზომებს მიმართავს მოძრაობის ჩასახშობად.

## ტიან-ცზინის მუშებს პროვოკაცია მოუწყვეს.

ტიან-ცზინიდან მიღებულ დამატებითი ცნობის თანახმად გაფიცვების წინ მუშებმა წამოაყენეს რამოდენიმე მოთხოვნილება, მათ რიცხვში 8 საათის სამუშაო დღე.

მეპატრონეებმა ჯერ მიიღეს მოთხოვნილებები, ხოლო შემდეგ მოითხოვეს ჯარები და მოაწყვეს შეტაკება. ჯარების მოსვლის შემდეგ იაპონიის ადმინისტრაციამ თვით მიიღო მონაწილეობა მუშათა დახვრეტაში. სროლის შემდეგ გენერალ ლი-ჩჟინ-ლინმა გამოიწვია სხვა და სხვა კავშირთა დელეგატები და გამცემლურად დააპატიმრა.

## შანდუნში გრძელდება სასტიკი ზომები.

### დახვრიტეს 16 მუშა.

შანდუნში დახვრიტეს 16 მუშა და სტუდენტი კომუნისტობისთვის და დააპატიმრეს რამოდენიმე ათეული კაცი.

დახურეს რამოდენიმე გაზეთი.

გამოქვეყნებულია ახალი წესები, რომლის მიხედვითაც რედაქციებმა უნდა შეიტანონ 10.000 დოლარი საწინდარი. ამდენის გადახდა კი არ შეუძლია არც ერთ ჩინურ გაზეთს, რაც მოასწავებს მათ დახურვას.

## ბრძოლა მაროკოში.

### აჯანყებულთა რამოდენიმე ტომები დამორჩილდა ფრანგებს.

ჰავასის სააგენტოს ცნობით უეტცანის რაიონში ფრანგების მიერ წარმოებულ ოპერაციების შემდეგ ზარზრის და ალერიფის ტომებმა დაიწყეს მოლაპარაკება საფრანგეთის ხელისუფლების მორჩილებაზე.

საფრანგეთის ჯარებმა სასტიკად დაამარცხეს მოწინააღ-

მდეგენი. ჩამოშორებულ ტომების უკან დახევა გრძელდება.

საფრანგეთის რაზმის შეტევისგამო, რომელმაც მიაღწია ზარზარის მთაგრეხილს, მტრის რაზმები სასწრაფოდ იხევენ უკან ჩრდილოეთისაკენ.

ამ რაიონის სხვა ტომებმა უარი განაცხადეს აბდელ-კერიმის ჯარებისათვის სურსათ-სანოვაგის მიწოდებაზე.

საფრანგეთის ჰაეროპლანებმა დაუშინეს ყუმბარები მტერს ბაბატაცის, მატუფის და სტებენეს რაიონებში. გენერალი დოგანი გაემგზავრა მარრაკეშში (ქალაქია მაროკოში) სამხრეთ მაროკოში მომქმედ ძალების სახელმძღვანელოდ.

მელილიდან იტყობინებიან რომ მტრის რაზმების თავდასხმა საზარგულეებზე იესსენ-ლასსენის მახლობლად მოგერიებულ იქნა.

ისპანელებს მოუკლეს და დაუჭრეს 13 კაცი.

უეტცანის რაიონში საფრანგეთის რაზმებმა განდევნეს აჯანყებულები ყველა გამაგრებულ ადგილებიდან.

საფრანგეთზე დამორჩილებული ჩრდილოეთ გარბის ტომები ბრუნდებიან თავიანთ სოფლებში.

## ბელგია-ამერიკის მოლაპარაკება შეწყდა.

ბელგიისა და ამერიკის წარმომადგენლებს შორის შეწყდა მოლაპარაკება ვალების გაზთილების შესახებ.

# საბჭოთა კავშირში

## იაპონიის საჰაერო ექსპედიცია.

მიღებულია ცნობები, რომ იაპონიის ერთი თვითმფრინავი დაეშვა ანეერკში. ცუდი ამინდი ხელს უშლის ფრენას. თვითმფრინავების აფრენა ნოვო-ნიკოლაევსკისკენ განზრახული იყო 15 აგვისტოსთვის.

## მოსკოვში ჩამოვიდა უცხოელ მასწავლებელთა დელეგაცია.

16 აგვისტოს მოსკოვში ჩამოვიდა საფრანგეთის, გერმანიისა და ბელგიის მასწავლებელთა დელეგაცია.

მათ სადგურზე შეეგება სასწავლებლის დელეგაციები. წარმოთქმულ იქნა მისალმების სიტყვები. საპასუხო სიტყვაში დელეგატებმა აღნიშნეს, რომ ის, რაც მათ გაიგონეს საბჭოთა კავშირის შესახებ თავიანთ ქვეყნებში, სრულიად ეწინააღმდეგება საბჭოთა კავშირის სინამდვილეს.

# როგორ ტარდება

## სასოფლო სამეურნეო გადასახადი ტფილისის მაზრაში.

ტფილისის მაზრაში უკვე წინ და წინვე შეუდგნენ სას-სამ. გადასახადის ჩაბარებას.-პირველ დღესვე შემოვიდა 500 მანეთი —გლეხობას გამოაქვთ რეზოლიუციები გადასახადის მოკრების დაჩქარების შესახებ.-გადასახადი პირველად შეიტანა გლეხმა ჩივაძემ. - სოფლის წურბლების ხრიკებს გასავალი არა აქვს.

ტფილისის აღმასკომის გადასახადთა განყოფილების გამგემ, ამხ. თალაკვაძემ ტფილისის მაზრის ჩამოვლის -შემდეგ ჩვენს თანამშრომელს გადასცა შემდეგი:

ტფილისის მაზრის მოსახლეობამ გამოიჩინა დიდი ხალისი მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახდის წინასწარ ჩაბარების საქმეში' გადასახადის მოკრების ოფიციალურ ვადათ დანიშნულია 1-ლი ნოემბრიდან 1-ლ იანვრამდე და დანარჩენის მოსაკრებად კი 1-მარტამდე.

მიუხედავათ ამისა სოფ, დიდ-თონეთში, ძველ მანგლისში, სოფ. ინტერნაციონალში და ლენინის სოფელში უკვე დაწყებულია გადასახადის მოკრება.

პირველი ადგილი გადასახადის მოკრებაში დაიკავა ტფილისის მაზრამ. მარტო 16 აგვისტოს მაზრის 4 სოფელში მოგროვდა 500 მანეთი.

ყველგან სადაც კი მოვიწვიეთ გლეხთა ყრილობები, გლეხებს აუხსენით გადასახადის შესახებ არსებული მდგომარეობა და უნდა აღინიშნოს, რომ ისინი დიდის სიმპატიით ხვდებოდენ და ესალმებოდენ მთავრობას იმ შეღავათების გამო, რომელიც გლეხებს ენიჭება სას.-სამეურნეო გადასახადის განაწილების საქმეში.

გლეხები დარწმუნდენ, რომ მთავრობა ყოველმხრივ ეხმარება სოფლის ღარიბ მოსახლეობას.

ადგილობრივ თემაღმასკომებს, სჩანს ბევრი უმუშავნიათ და დიდი მზადება ჰქონიათ კამპანიის ჩასატარებლად.

მთავრობის მოწოდებზეა „ერთიანის“ მოკრების შასახებ პირველათ გამოეხმაურენ საშუალო და ულარიბესი გლეხები. ასე მაგალითად სოფ. დიდ-თონეთში გადასახადი პირველათ ჩააბარა უპარტიო გლეხმა ბეგლარ ჩივაძემ.

სოფლის „კულაკებს“ და წურბლებს უნდათ ხელი შეგვიშალონ კამპანიის ჩატარებაში, მაგრამ სოფლის მშრომელ უმრავლესობასთან მათ ხრიკებს აღარააქვს გასავალი.

## ამხ. ამხ. მახარაძე და ელიავა ახალქალაქის მაზრაში.

14 აგვისტოს საღამოს ახალქალაქში ჩავიდა საქართველოს ცენტრალური აღმასკომის თავმჯდომარე ფილიპე მახარაძე, რომელსაც სადგურში შეეგება ქალაქის მთელი მოსახლეობა.

მიტინგზე მახარაძე მიესალმა მშრომელ გლეხობას და მაზრის მუშებს. მან აღნიშნა, რომ მის მგზავრობის მიზანია—გაეცნოს ახალქალაქის სოფლის გარემოებას.

თუში მეცხვარეები შეეგებენ მახარაძეს, როგორც საპატიო მწყემსს და ქალაქიდან 12 ვერსის მანძილზე მოაცილე-ბდენ მის ავტომობილს ცხენებით.

მეორე დღეს მახარაძე ზოგიერთ პასუხის-მგებელ მომუშავეთა თანხლებით გაემგზავრა ოკამის რაიონში მუსულმან-თა სოფლების გასაცნობათ.

15 აგვისტოს ახალქალაქში ჩავიდა საქართველოს სახა-ლხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ელიავა. მიტინგზე ამხ. ელიავა მიესალმა წითელი ჯავახეთის მოსახლეობას. ის შ-ეხო საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებებს მშრომელი ხალ-ხის ეკონომიურად აღორძინების საქმეში. ამხ. ელიავას სიტ-ყვა გადათარგმნილ იქნა სომხურ და თათრულ ენაზე.

მიტინგის შემდეგ ელიავამ ინახულა აღმასკომი, საავად-მყოფო და სხვა დაწესებულებები.

# სამხედრო საქმე

## მომავალ მანევრებისთვის.

### მოუფრთხილდი სახალხო ქონებას.

მანევრების ჩატარების დროს ჯარის ნაწილის თვითეულმა მეომარმა უნდა იცოდეს ის წესები, რომლებიც გათვალისწინეულია ოფიციალურ „დარიგებაში მანევრებისთვის“. კერძოდ, გარდა გლეხის მინდვრის, ბაღისა და ბოსტნის მოფრთხილებისა, თვითეული მეომარი უნდა უფრთხილდებოდეს აგრეთვე დანარჩენ სახალხო მეურნეობასაც, რომელიც შეხვდება ჯარის ნაწილს მოძრაობის დროს გზაში.

რა შეხვდება ჯარის ნაწილს გზაში მანევრების დროს? მინდვრებს, ბაღებსა და ბოსტნებს გარდა, მას შეხვდება მოსახლეობიანი ადგილი (სოფელი, ქალაქი) ველი „ტყე, ჩალის, მეშის, პურის საწყობები და სხვა.

მეომარმა თავის პირდაპირ მოვალეობათა ასრულების დროს უნდა მოუფრთხილდეს ყოველივე ამას, ვინაიდან გლეხის მეურნეობა მთელი ჩვენი საბჭოთა კავშირის ქონებაა.

უბედურ შემთხვევათა [და] სახალხო ქონების გაფუჭები[ს] თავიდან ასაცილებლად საჭი[]რო დაიცო შემდეგი წესრიგ[ი] მოსახლეობიან ადგილებში სა[]ხლების, პურის ძნებისა და თი[]ვის ზვინების ახლოს სროლ[ა] არ შეიძლება; არ შეიძლებ[ა] აგრეთვე ცეცხლის დანთება.

ამას გარდა არ შეიძლებ[ა] ღობეების დარღვევა, ნება [და]ურთველად ტყეების, ბუჩქები[ს] ჭრა და სხვა.

რკინის გზის ახლოს მოქმე[]დების დროს, მეომარს უნ[და] ახსოვდეს, რომ ლიანდაგებ[ზე] მოძრაობა ნაწილებით ან ჯგუ[]ფებით არ შეიძლება, არ შეიძლ[]ება აგრეთვე გადასავალზე გზი[ს] მაჩვენებელის აშვება, თუ ასეთ[ი] დაშვებულია. არ შეიძლება შ[]ალებისა და სხვა მასალების ხ[]ლის ხლება, რომლებიც და[]წყობილია რკინის გზის ახლო[ს].

ი. ბარ.

## შვებულებაში მიმავალო, არ შეარცხვინო წითე-ლი არმია!

ასეთია ჩემი თხოვნა გამომშვიდობებისას.

წითელ არმიაში ორი წლის სამსახურის შემდეგ შენ მიდიხარ სახლში. როცა წითელ არმიაში მიდიოდი, ალბად არა ერთხელ შეეკითხებიხარ თავს—თუ როგორ მიგიღებდა ის. მართალია უფროსი ამხანაგები, ყოფილი წითელ არმიელები ბევრ კარგს ლაპარაკობდენ მის შესახებ. მაგრამ შენ სრულად არ გჯეროდა. იყვენ ისეთებიც, რომლებიც გიჩურჩულებდენ შენ ათასნაირ ცუდ რამეებს წითელი არმიის შესახებ. ხოლო ბევრი, მეფის არმიაში ნამსახური მოკეთე და დედაბრები, გაშინებდენ სალდათობით ძველი მოგონებისა ან და შიშის გამო რომ ურწმუნო—ბოლშევიკები რაიმე ცუდს გასწავლიდენ. ეხლა შენ ორი წლის სამსახურიდან გაქვს საკუთარი გამოცდილება და შეგიძლია თვით გასცე პასუხი კითხვებზე: როგორია წითელი არმია, კარგია თუ ცუდი, ვის ემსახურება ის, რისთვის ემზადება, რას აძლევს ის გლეხს მშვიდობიან სამსახურის დროს.

მართალია, ყველას არ შეუძლია დღეს, სახლში დაბრუნებისას უპასუხოს ამ კითხვაზე. თავი სავსეა ერთობ ცოცხალი განცხადებით. რომ უფრო გაიგო, განსჭვრიტო და შეაფასო—უნდა რამოდენიმედ მოშორდე გარემოებას, მაშინ უკეთ დაინახავ. და როცა გამოიცვლი წითელ არმიელის ხალათს და ჩაიცვამ გლეხისას, მაშინ მთელი სიდიდით წარმოსდგება შენს წინაშე ჩვენი სახელოვანი წითელი არმია. მხოლოდ მაშინ დააფასებ მის დამსახურებას, გაიგებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას მთელი კავშირისთვის და კერძოდ გლეხობისთვის. და ყველაზე უკეთ მაშინ გაიგებ, რომ ის მუშურგლეხურია და დაიცავს მხოლოდ მშრომელთა ინტერესებს. როცა შენ მის შესახებ მოიგონებ, მოიგონე ჩემი სიტყვებიც, ჩემი რჩევა-დარიგება და თხოვნა. ის შენთვის უფრო ახლობელი და ძვირფასი გახდება. შენ იგრძნობ, რომ არა ხარ მარტო, რომ გყავს შენ მშობლიური წითელი არმია, რომელსაც შეგიძლია შენი აზრი გაუზიარო, შესჩივლო მას შენი და გარემო ცხოვრების შესახებ, მიიღო მისგან წერილი ძმურის დარიგებით, ამხანაგური დახმარებით, განსაკუთრებით, სულიერად დაცემის წუთებში.

სახლში მუშაობის დროს გახსოვდეს მუდამ, რასაც წითელ არმიაში გასწავლიდენ. შენ გეუბნებოდენ, რომ საბჭოთა კავშირი მშრომელთა კავშირია, მას არ სურს ომი, უნდა მშვიდობიანობა, მას სურს ჩქარა დააღწიოს თავი ნგრევასა და სიღარიბეს, აამაღლოს მეურნეობა, მოაწყოს ახალი ბედნიერი შრომის ცხოვრება. მასთან საბჭოთა კავშირს ეს სურს არა მარტო თავისთვის, არამედ ყველა მოძმე ერთათვის, რომლებსაც სჩაგრავენ მდიდრები, კაპიტალისტები, მემამულეები. აი რატომაა, რომ წითელი არმიისთვის ყველა ჩაგრულები ძმებია, სულ ერთია პოლონელი იქნება ის თუ ჩინელი გლეხი. რომ ყველგან გაედევნა მუშებსა და გლეხებს კაპიტალისტები და მემამულეები, მოეწყოთ თავიანთი საბჭოები, მაშინ არავითარ ომს ადგილი არ ექნებოდა. მშრომელებს არაფერი არ აქვთ გასაყოფი, საჩხუბარი. ისინი გაერთიანდებოდენ თავიანთ შრომაში. შენ თვითონ მოიგონებ ამას და ყოველთვის გაიგებ ჩვენს საერთაშორისო პოლიტიკას.

მაგრამ გახსოვდეს ისიც, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი მტერი გვყავს და რამდენადაც ჩვენ ვძლიერდებით და საკუთარ სამეურნეო ფეხზე ვდგებით, იმდენად უფრო და უფრო ვძულდებით უცხოეთის კაპიტალისტებსა და მემამულეებს. და მათთან ერთად ჩვენ ყოფილ მემამულეებს სული მისდით, სანამ თავიანთ ქონებას დაიბრუნებდენ. მაგრამ ეს დღე მათ არ დაუდგებათ, ვინაიდან ეს არ სურს ჩვენ კავშირის არც მუშასა და არც გლეხს. მაგრამ „არ სურს“ ცოტაა, საჭიროა გვქონდეს ძალა თავდასაცავად.

აი სწორედ ამისთვისაა საჭირო ჩვენი წითელი არმია ჩვენი მშვიდობიანი შრომის უზრუნველსაყოფად. ჩვენ მუდამ მზად უნდა ვიყოთ გავსცეთ მტერს ჯეროვანი პასუხი, თუ ის აღმართავს ჩვენს წინააღმდეგ იარაღს. და ასეთ პასუხს ჩვენ გავსცემთ. ჩვენ მძინარეს თავს ვერ დაგვესხმიან, ჩვენ მზადა ვართ.

მაგრამ თავდაცვისათვის მარტო არ კმარა გვყავდეს წითელი არმია თოფ ქვეშ. თუ ჩვენ თავს დაგვესხენ, ეს იქნება ყოველ მხრიდან, და ჩვენ უნდა გამოვიყვანოთ არა მარტო ერთი წლის გაწვევა არამედ თოფ ქვეშ უნდა დავაყენოთ მრავალ მილიონიანი არმია. ამიტომაა, რომ ყველას, ვინც კი არმიაში იყო, უნდა ეჭიროს მასთან მუდმივი მჭიდრო კავშირი, იცოდეს ყველა ფერი ის, თუ რა ხდება მასში ახალი, განსაკუთრებით ტეხნიკაში. გვაქვს თუ არა ჩვენ ახალი თოფი, ტყვიამფრქვევი, ქვემეხი, ჰაეროპლანი, აირმსპობი და სხვა.

ხოლო ამის გაგება ყოველთვის შეიძლება ჩვენი გაზეთის საშუალებით, თავისი ასეულის ოცეულის, ესკადრონის, ბატარეის უფროსის წერილით. ამის შესახებ შეიძლება გავიგოთ აგრეთვე ცვალებადელისაგან და ქოხ-სამკითხველოს წითელ კუთხეში. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ სახლიაცშ წითელ არმიელები ვართ, თუმცა ჯარის რიგებში არ ვიმყოფებით. საშიში საფრთხიანი დრო ჯერ არ წასულა. ყოველ წუთს შეიძლება ყველა შვებულებაში წასულები გაწვეულ იქნან თოფ ქვეშ რათა დაიცვან თავიანთი შრომა, ხელისუფლება, სახელმწიფოს საზღვრები, რომ კვლავ მონობაში არ ჩავარდენ.

მე თავიდან ვამბობდი, რომ ჩვენ რაც შეიძლება ჩქარა გვსურს თავი დავაღწიოთ სიღარიბეს. და შენ უნდა ისარგებლო ჩვენ მიერ დიდის გაჭირვებითა და შრომით მოპოებული შესვენებით. იმუშავე, იშრომე, გაადიდე ყველა კარგი გონივრული საშუალებებით შენი მეურნეობის შემოსავალი.

ეს უკეთესი იქნება შენთვისაც და მთელი კავშირისთვისაც. რამდენადაც ჩვენ მდიდარი ვიქნებით, იმდენად ძნელი იქნება ჩვენი წაჩოქება, მით უფრო გავუძლებთ თავდასხმას.

რაც უფრო მდიდარი ვიქნებით მით უფრო ჩქარა ვსძლევთ წერაკითხვის უცოდინარობას, ავამაღლებთ გონებრივ განვითარებას, გავაუმჯობესებთ ჩვენს შინაურ და საზოგადოებრივ ცხოვრებას, თანდათანობით შევსცვლით ადამიანის შრომას მანქანით და გავიადვილებთ ცხოვრებას. გაძლიერებულ შრომის გარეშე ჩვენ ვერ გავალთ სოციალიზმის ფართე გზაზე. გახსოვდეს, რომ შენს მუშაობაში მარტო არა ხარ. შენ მუშაობ მუშისთვის, ის [] შენთვის. მხოლოდ მუშასთა[ნ] ერთად გააუმჯობესებ ყოველ[]მხრივ შენს ცხოვრებას და დ[ა]იცავ რევოლიუციით მოპო[]ბულ უფლებებს. ამიტომ, ა[რ]ას დროს არ გაივიწყო ამ[] ლენინის ანდერძი და მტკიც[ე]ე გეჭიროს კავშირი მუშებთა[ნ] წითელი არმია ყოველთვის მ[ა]გალითი იყო შენთვის ამ მხრ[ივ] შენ მის რიგებში დაინახ[ე] რომ მხოლოდ მუშებისა [და] გლეხების კავშირი გვხდის ჩვ[] გამარჯვებულს და სწორი გ[ზ]ით მიმართავს ჩვენს ცხოვრ[ე]ბას საბჭოებისა და კომუნი[ს]ტური პარტიის ხელმძღვან[ე]ლობით. ჩვენთვის თვითეულ[] წელიწადი დიდი ნაბიჯია წ[ინ] შენ წითელი არმიის მოწაფ[ე] ხარ, უნდა მიუძღოდე ცხო[ვ]რებას წინ და მიგყავდეს თა[ნ] ის ვინც უკან რჩება, ვისა[ც] ჯერ ვერ გაუგია და გაურკვ[ე]ვია ის, რაც შენ გაიგე წი[თ]ელ არმიაში ყოფნის დრო[ს]. შენ მარტო არ იქნები. წით[ე]ლი არმია, როგორც სკოლ[ა] გამოუშვებს შენს დასახმარე[]ლად ახალ ამხანაგებს. და ჩ[]ვენ ყველა, საბჭოთა ხელისუ[ფ]ლებასთან და პარტიასთან ე[რ]თად, წაიყვანთ სოფელს ახა[ლ] გზით, ახალ ცხოვრებისაკე[ნ] ფეხდაფეხ ჯერჯერობით წ[ინ] წასულ ქალაქთან.

სამხედრო და საზღვაო საქმე[თა] სახალხო კომისარი მ. ფრუნზ[ე]

(დასასრული შემდეგ №-ში)

# ჩვენს ტერიტორიალურ ნაწილებში

## ტერ-არმიელთა კონფერენცია.

მე-6 ლეგიონი.

15 აგვისტოს „წითელ-არმიის და ფლოტის ბაღში“ მოხდა ტერ-არმიელთა კონფერენცია. კონფერენცია გაიხსნა საღამოს რვა საათზე.

კონფერენციას დიდძალი ხალხი დაესწრო. მოხსენებები გაკეთდა ქართულ, რუსულ და სომხურ ენაზე. მომავალ ტერ-შეკრების მნიშვნელობაზე მოხსენებას აკეთებს რუსულ ენაზე ამხ. ცინცაძე, რომელიც ფართედ აშუქებს ტერ ნაწილების ახალი წყობას და მის უაღრესად დიდ მნიშვნელობას.

დასასრულს მოუწოდებს კონფერენციას ტერ-არმიელები გამოცხადნენ დაუგვიანებლივ ტერ-შეკრების დროს. ქართულად ამავე თემაზე მოხსენებას აკეთებს ლეგიონის თავი ამხ. გრიგოლია, რომელიც ეხება ძველ და ახალ ჯარის აღმშენებლობას. მომხსენებელი აღნიშნავს პირველ ტერ შეკრების დროს ტერ არმიელთა უკლებლივ გამოცხადების მნიშვნელობას. სომხურად მოხსენებას აკეთებს წითელ-არმიელი ამხ. სალუხაძ-ვი. ის წითელ-არმიელთა სახელით მიმართავს ტერ არმიელებს, რათა გამოძახებისთანავე გამოცხადნენ დაუყონებლივ წითელ ყაზარმებში.

მოხსენებების შემდეგ იყო შეკითხვები, რასაც მომხსენებლების მიერ გაეცა სათანადო პასუხი.

მოხსენებების გათავების შემდეგ გამოტანილი იქნა რეზოლიუცია სადაც ნათქვამია: „ტერ არმიელებს მტკიცედ გვაქვს შეგნებული ტერ შეკრების მნიშვნელობ და ჩვენ მზად ვართ დაძახებისთანავე გამოვცხადეთ წითელ ყაზარმებში სამხედრო და პოლიტ-ცოდნის მაღალებათ, რომ მით მომავალში მტკიცედ დავიცვათ მუშურ-გლეხური ხელისუფლება. კონფერენცი ს დახურვის შემდეგ გაშვებულ იქნა ლეგიონის სინათლის გაზეთი № 2, რომელიც ითარგმებოდა ქართულ, რუსულ, თათრულ სომხურ და ოსურ ენებზე. სინათლის გაზეთში ფართედ შუქდებოდა ლეგიონის ყოფა-ცხოვრება, რამაც თავისი კარიკატურებით დიდი კმაყოფილება გამოიწვია წითელ-არმიელთა მასაში. სინათლის გაზეთის შემდეგ ნაჩვენები იქნა კინო-სურათი „არსენა ყაჩაღი“.

საღამოზე ჩვენთან იყვნენ სტუმრებათ არტ და პირველი ლეგიონები.

სამხკორი ე—ლი.

## საშეფო სოფელში.

მე-4 ლეგ. მე-7 და მე-3-მე ტყვიამფრ. ასეულები.

შაბათს ჩვენი ცვალებადლები გაემგზავრენ სოფ. №-ში. წითელ არმიელები დიდის ხალისით მიდიოდენ სოფელში.

მიუახლოვდით სოფელს. სიმღერამ მიიპყრო სოფლის ყურადღება და სოფელში შესვლისთანავე წინ შეგვეგებენ გლეხობა და მათ ძალიან გაუხარდათ ჩვენი მისვლა.

ახალგაზრდებს, გავაცანით ჩვენი მისვლის მიზანი.

შემდეგ პარტ-დამხმარე ჯგუფი შეუდგა სამზადისს საღამოს ჩასატარებლათ. საღამოს 8 საათია და კლუბთან თავი მოიყარა უამრავ ხალხმა. აქ გაიმართა ცეკვა-თამაში, სიმღერა და ჭიდაობა. 9 საათი შეიქმნა და ფარდა აიხადა. დარბაზი სავსეა ხალხით.

პიესის დამთავრების შემდეგ ჩვეულებრივი სჯაბაასი გაიმართა ჩვენს კომ-კავშირელებსა და გლეხურ ახალგაზრდობის შორის. ამ უკანასკნელთ აინტერესებდათ ჩვენი ყოფა-ცხოვრება და ტერ-აღმშენებლობა. საღამომ გასტანა ღამის სამ საათამდი. იმ ღამეს იქ დავრჩით. მეორე დღეს ჩვენი საშეფო კომისია შეუდგა სამხედრო კუთხის მოწყობას.

ამავე დროს ჯგუფის ხელმძღვანელი აცნობს გლეხობას სამხედრო კუთხის მნიშვნელობას და უხსნის თუ რისთვის არის საჭირო გასამხედროება.

გლეხობა დიდათ კმაყოფილი დარჩა. კარგი იქნებოდა, რომ ჩვენი მზრუნველობა სოფელზე გამოგვეხატა წარმოდგენების მართვის გარდა, ლიტერატურის მიწოდებით ახალგაზრდობისათვის.

სამხკორი შ. ღ—ძე.

## სკოლის გარეშე პროპაგანდის კურსების საქმიანობა.

მე 6 ტერლეგიონი.

სკოლის გარეშე პროპაგანდის კურსების მეცადინეობა დაიწყო ჩვენთან 15 ივლისს.

დღიდან კურსების დაარსებისა კლუბის გამგეობამ აიღო მტკიცე ხაზი მეცადინეობის ნორმალურად გასატარებლათ. კურსების მეცადინეობას, რომ უფრო მეტი საქმიანი ხასიათი მისცემოდა სამხკომთან და შტაბის უფროსთან შეთანხმებით მოხერხდა მეცადინეობის დღეს მსმენელების განთავისუფლება განწესებიდან.

მეცადინეობა სწარმოებს ორ ორი საათი დღეში, კვირაში სამჯერ. კურსებს ყავს თავისი პრეზიდიუმი, რომელიც მთლიანათ ხელმძღვანელობს მათ მუშაობას. კურსებზე მეცადინეობენ 40 წ. მოლაშქრე. ამათში არიან, როგორც ძირედი წ. არმიელები, ისე ტერ არმიელები.

პრეზიდიუმი ადგენს სამეცადინო თვიურ პროგრამას, როგორც საკლუბო, ისე საბიბლიოთეკო დარგში.

მეცადინეობას ატარებენ კლუბის უფროსი, ბიბლიოთეკარი და პოლიტხელები.

კურსელები ჩაბმული არიან ნაწილის საერთო საქმიანობაში.

მათი ძალებით ტარდება ყოველგვარი კამპანიები, გამოიშვა სპეციალური კედლის გაზეთი და სხ.

განზრახულია კურსების მსმენელთა ძალებით ჟურნალის გამოშვებაც. 20 აგვისტოს ჩატარდება წიგნის დღე.

კურსებიდან გამოყოფილია სპეციალური კომისია, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს ამ დღის ღირსეულათ ჩატარებას.

კომისიამ უკვე გამოიმუშავა გეგმა და შეუდგა მის განხორციელებას.

კურსების მსმენელები მიმაგრებულნი არიან პრაქტიკულ მუშაობისათვის სხვა და სხვა ბირთვებზე და წრეებზე. მსმენლები დიდი ინტერესით და მონდომებით ეკიდებიან საქმეს. ხელმძღვანელებიც დაინტერესებული არიან. რომ კურსების საქმიანობა უფრო ნაყოფიერი იყოს.

სამხკორი მ. ვ.

## მზადება ტერ. შეკრებისათვის.

მე-4 ლეგ. მე 7 და ტყვიამფრქვევი ასეულები.

ახლოვდება 1-ლი ტერ-შეკრება და ჩვენი ასეულებიც შეუდგნენ წინასწარ სამზადისს მათ შესახვედრათ.

ახალგაზრდა წ. არმიელებიც გვეხმარებიან და ჩვენთან ერთად აწყობენ ლენ-კუთხეს, კლუბს და საცხოვრებელ ბინას სხვა და სხვა შესაფერისი ლოზუნგებით და პლაკატებით. 16 აგვისტოსთვის გამოყოფილ იქნა პარტ-ამხანაგები და თემრწმუნებულები რაიონებში მოხსენებების გასაკეთებლად და კამპანიების ჩასატარებლათ ტერშეკრების შესახებ.

ამ დროისთვის ჩვენი დრამწრეც ამზადებს შესაფერის პიესას, რომელიც ჩატარებული იქნება, როგორც თვით ლეგიონის კლუბში, ისე სხვა რაიონებშიდაც. განზრახულია აგრეთვე გამოშვებულ იქნეს სპეციალური კედლის გაზეთი. ყველა მუშაობს, ყველა ემზადება და რამოდენიმე ხნის შემდეგ ჩვენი ასეულები უნდა შეივსონ გლეხის შვილებით პოლიტ-სამხედრო მეცადინეობის გასამეორებლად.

სამხკორი შ.

# განაკის ცხოვრება და მუშაობა

## მოკლე ვადიან შვებულებას სათანადოთ მოვიხმართ.

ქართულ მეთაურთა სკოლა.

კურსანტების მეთაურებათ გამოშვების შემდეგ ჩვენი სკოლის კურსანტების უმრავლესობა გაშვებულ იქმნა მცირე ვადიან შვებულებაში.

ჯერ კიდევ ბანაკად ყოფნის დროს, დაიწყო შვებულებაში მიმავალ კურსანტების მომზადება. შედგენილ იქმნა თეზისები, კეთდებოდა მოხსენებები, სხვა და სხვა თემაზედ, ტარდებოდა საუბრები და სხვა. თავი და თავი რაც უნდა გაეშუქებიათ გლეხებისათვის, შვებულებაში მიმავალ კურსანტებს მდგომარეობდა შემდეგში: 1-ლი საერთო შორისო მდგომარეობა, 2. ჭიათურის კონცესია. მე-3-მე-კოოპერაცია და საბჭოთა მუშაობის გამოცოცხლება. აი უმთავრესი საკითხები. რომელიც დავისახეთ გაუშუქოს გლეხობას შვებულებაში მყოფ კურსანტებმა.

ამ ჩვენ ამოცანას პირნათლად შევასრულებთ!

ა. ი. რუხაძე.

## შეაკეთეთ ონკანი.

1-ლი ლეგიონი.

პირველ ლეგიონის საზამთრო ყაზარმის სამზარეულოში ორ კვირაზე მეტია, რაც გაფუჭებულია წყლის ონკანი, საიდანაც დიდძალი წყალი იღვრება, ამის შესახებ მიმართეს ვისაც ჯერ იყო, მარა არავითარი ზომები არ მიუღია, მის შესაკეთებლად.

საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება და შეკეთებულ იქნეს ონკანი.

სამხკორი წალდი.

## საღამო წარმოდგენა ჩვენთან.

(1-ლი ლეგიონი.)

ჩვენი ნაწილის ახკომკავშირმა მესამე რაიონის 9 იანვრის კომკავშირის უჯრედის წევრებთან ერთად, შეერთებული ძალებით, მოაწყო წარმოდგენა.

წარმოდგენა ჩატარდა ლეგიონის კლუბში და დაიდგა ორ მოქმედებიანი პიესა „შეშინებული ანთიმოზი“ და „მატყუარა ვექილი“.

წარმოდგენას დაესწრო საკმაო რიცხვი, როგორც ჩვენი ლეგიონიდან, ისე სამოქალაქო ორგანიზაციიდან.

წარმოდგენის დამთავრებისას ჩვენი ნაწილის მომღერალთა გუნდის მიერ მოეწყო სხვა და სხვა სიმღერები.

დაბოლოს გაიმართა ცეკვა-თამაში.

დამსწრე საზოგადოება დიდი კმაყოფილი დარჩა ამ წარმოდგენით.

მადლობის ღირსნი არიან შ. კვინიკაძე და ლორთქიფანიძე, რომლებიც ხელმძღვანელობდენ ამ წარმოდგენის მოწყობას და მის სათანადოთ ჩატარებას.

სამხკორი ვ. ჩაგელაშვილი.

## ნუ ყრით ეზოში ნაგავს.

1-ლი ლეგიონი.

პირველი ლეგიონის საზამთრო ყაზარმაში არის ხუთი ნაგავის ჩასაყრელი ყუთი. მხოლოდ ეს ყუთები ფორმისათვისაა, რადგან შიგ ნაგავს არავინ ყრის. ნაგავს ყრიან ეზოში, რის გამო ეზოში საშინელი უსუფთაობაა. საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება, რომ მომავალში ადგილი არ ექნეს ლეგიონის ეზოში ნაგავის დაყრას.

სამხკორი წალდი.

## სამაგალითო მუშაკი.

1-ლი ლეგიონი.

ჩვენი ლეგიონის პირველი ასეულის კომუჯრედის მდივნათ არის წითელ არმიელი ამხ. შ. კვინიკაძე, რომელიც დაუღალავათ მუშაობს კომუჯრედის მუშაობის სათანადო დონეზე დასაყენებლათ.

ხშირათ ამხ. კვინიკაძე მართავს კამათს რომელიმე თემაზე სხვა და სხვა ამხანაგებთან.

ასეთი კამათი დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ჩვენზე.

ზემოხსენებული ამხანაგი სამი კვირის განმავლობაში სისტემატიურად ატარებდა ჩვენთან საუბრებს პოლიტიკურ თემაზე.

უჯრედის ყველა წევრებს ამხ. კვინიკაძემ შეგვაძენია პარტიის წესდებები და სხვა და სხვა წიგნები.

მიუხედავათ იმისა, რომ ამხ. კვინიკაძე ბიურო—კოლექტივის ტეხნიკური მდივანია და იქაც ბევრი საქმეები აქვს, ის მაინც გულმოდგინეთ ასრულებს თავის მოვალეობას ჩვენს უჯრედშიდაც.

ასეთი მუშაობით წინ წაიწია ჩვენმა უჯრედმა და პოლიტიკურად მოამზადა, როგორც პარტიის წევრები, ისე უპარტიოები.

მადლობის ღირსია ასეთი დაუღალავი და ერთგული მუშაკი.

წ. არმიელი გ. კოპალეიშვილი.

## საქები წ. არმიელი.

მე-3 ლეგიონი.

ივლისის თვეში ჩვენი ლეგიონიდან მოკლე შვებულებაში წავიდა ამხ. გეურქოვი, რომელიც ჩასულა თუ არა თავის სოფელში მაშინვე გამოცხადებულა საბჭოში და გაუგია თუ კრება როდის იქნებოდა მოწვეული. კრებაზე მას გაუკეთებია მოხსენება წ. არმიის მნიშვნელობაზე. ამის დასამტკიცებლად მან მოიტანა საბჭოდან მოწმობა. ამხ. გეურქოვმა წითელ ყაზარმაში ისწავლა წერა-კითხვა. ის დღეს თავისუფლად კითხულობს და წერს ქართულად და სომხურად.

მისაბაძია ასეთი ამხანაგი.

ს. გეგია.

## ცნობათა ბიუროს მუშაობა.

მე 2 არტლეგიონი.

მე-2 არტლეგიონის ცნობათა ბიუროში წითელ არმიელებისაგან შემოდის განცხადებები მათი ოჯახების მდგომარეობის შესახებ და სხვა და სხვა კითხვები. ცნობათა ბიურო წ. ა. მიერ შემოტანილ კითხვებზე შესაფერის პასუხებს აძლევს და მათ მიერ შემოტანილ განცხადებებს უგზავნის მაზალმასკომების თავმჯდომარეებს წითელ არმიელების ოჯახების დახმარების აღმოსაჩენად. ცნობათა ბიუროს საშვალებით წ. ა. გებულობენ მათ ოჯახებზე დახმარების აწევის შესახებ, რაც დიდ სიხარულს იწვევს მათში.

ცნობათა ბიურო თავის მხრივ ცდილობს ყოველგვარი დახმარება გაუწიოს წითელ არმიელებს.

კ. აბზიანიძე.

## მოგვეცით ცოცხი.

მე-5 ლეგიონი.

მე-5 ლეგიონის მე-4 ტრანსპორტის ოცეულის ყაზარმაში უსუფთაობას აქვს ადგილი. მთელი კვირაობით ოცეულის ყაზარმა არ იხვეტება, რადგან ცოცხი არ გვაქვს. რამოდენიმეჯერ მივმართეთ ზემდგის მოადგილეს, რომ მას შეეძინა ცოცხი, მაგრამ ყურადღებას არ გვაქცევს.

საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება და შეძენილ იქნეს ცოცხი.

სამხკორი გიგა.

# პარტიული ცხოვრება.

## ახკომ-კავშირელთა შორის

**მე 6 ლეგიონის უმც. მეთ. სკოლა.**

მე-6 ლეგიონის უმცროს მეთაურთა სკოლის ა. ლ. კ. კ. ჯგუფში თავდაპირველად ირიცხებოდა 21 წევრი, მაგრამ მას მოემატა მაზრებიდან ჩამოსული კომ-კავშირელები და დღეს ჯგუფში არის 30 კომ-კავშირელი. ჯგუფს ყავს გამოყოფილი თავისი ორგანიზატორი, რომელიც ხელმძღვანელობს ჯგუფის ყოველგვარ მუშაობას. კრებები ხდება ყოველ ორ კვირაში ერთხელ, რომელსაც ესწრება პარტიის და კომ-კავშირის წევრების გარდა აგრეთვე უპარტიო კურსანტებიც. პოლიტცოდნის შეძენის მიზნით ჯგუფთან დაარსებულია ახალ. მოძრაობის ისტორიის შემსწავლელი წრე, რომელსაც ყავს თავისი ხელმძღვანელი და პროგრამისდა მიხედვით აწარმოებს მუშაობას.

წრეში მეცადინეობა სწარმოებს კვირაში ერთხელ. წინასწარ ინიშნება წრის ხელმძღვანელის მიერ მომხსენებელი სხვა და სხვა თემებზე. ჩვენს ჯგუფს სამოქალაქო ორგანიზაციასთან რა აქვს კავშირი, რის შესახებ ლეგიონის ორგანიზატორთან ბევრჯერ იყო აღძრული შუამდგომლობა, მაგრამ ის არავითარ ყურადღებას არ აქცევს. საშეფო მუშაობა ჯერაც მოუგვარებელია.

სკოლის სამხკორი ი. ბ.

# ახალი ამბები.

— რევოლიუციის მებრძოლთა დასახმარებლათ. საქართველოს რემედასის ცენ. კომიტეტმა გაუგზავნა რემედასის ალმასკომს 5 ათასი მანეთი და ამ დღეებში კიდევ გაგზავნის ამდენსავე.

— შეფობის მიღება საბერძნეთის ციხეზე საქ. რემედასის ცეკამ შუამდგომლობა აღძრა რემედასის ალმასკომის წინაშე, საბერძნეთის რომელიმე ციხეზე შეფობის მიღების შესახებ.

— მტკვარის მარჯვენა მხარეს, მადათოვის კუნძულთან ქალაქის სანიტ.-ტეხნიკ. სექციას გაყავს თხრილი მტკვარის ნაწყვეტის გასაშვებათ.

— ტრამვაის დირექცია ახლო ხანში შეუდგება რუსთაველის პროსპექტზე ტრამვაის ახალი ლიანდაგის დაგებას.

— ნაძალადევში. ქალაქის კეთილ მოწყობის განყოფილებამ ნაძალადევში ქვით მოაგო 12 ქუჩა.

— გლეხთა ცენტრალური სახლი ხსნის თავის განყოფილებებს საბურთალოზე, ჩერქეზიშვილის ქუჩაზე და კახეთის მოედანზე.

— თამბაქოს გატანა. ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა საზღვარ გარედ გასატანად დაამზადა 86 ათასი ფუთი თამბაქო.

— საქ. სასოფლო-სამ. ბანკმა სესხათ გასცა 6 ათასი მანეთი თელავის მაზრაში მეფუტკრეობის საქმის დასახმარებლათ.

— შემნახველი სალაროები. ამჟამად მთელ ამიერ-კავკასიაში ითვლება 223 შემნახველი სალარო. აქედან მარტო საქართველოშია 127 სალარო.

— ქალაქის გასამშვენიერებლათ. ქალაქის კეთილმოწყობის განყოფილებამ მიმდინარე საანგარიშო წელში ქალაქის გასამშვენიერებლათ და ქუჩების შესაკეთებლათ დახარჯა 800.000 მანეთი.

— ტრამვაის მუშაობა. ივლისის განმავლობაში ტფილისის ტრამვაის გადაუყვანია 2.971.44 მგზავრი.

# ამბები სოფლებიდან.

**საგლეხო სესხის გასანაღდებლათ.**

რაჭის სამაზრო აღმასკომმა აირჩია საგლეხო სესხის სარეალიზაციოთ დამხმარე კომისია.

**ხიდი კრიხულაზე.**

უკვე შეუდგენ ხიდის აგებას მდინარე კრიხულაზე (ქვემო რაჭა). ხიდისათვის საჭირო მასალა უკვე მიტანილია ადგილობრივ.

**სადგურის ჩაბარება.**

ამ დღეებში მოხდება ახალციხის ჰიდრო-ელსადგურის მიღება და ჩაბარება.

ჩაბარებას დაესწრება ტფილისიდან ჩამოსული კომისია.

**ხილის მოსავალი.**

თელავის მაზრაში წელს მოელიან ხილის დიდ მოსავალს. კარგი პირი უჩანს აგრეთვე ღვინის მოსავალსაც.

**ხე-ტყის სახერხი ქარხნები.**

საქ. სატყეო მრეწველობის ტრესტი გომბორისა და ლაგოდეხის რაიონებში აგებს წყლით მომუშავე ხე-ტყის სახერხ ქარხნებს.

**ნიაღვარისაგან დაზარალებულთა გადასახლება.**

სოფ. ქვემო ნიჩბისის ნიაღვარისაგან დაზარალებულმა მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს გორის სამაზრო აღმასკომის წინაშე მათი ახალ ადგილას გადასახლების შესახებ.

**სკოლის გაფართოება.**

კასპის თემაღმასკომმა (გორის მაზრა) შუამდგომლობა აღძრა სამაღმასკომის განათლების განყოფ. წინაშე ადგილობრივი სკოლის გაფართოების შესახებ.

**ხიდი სოფ. ნაკიეთში.**

სოფ. ნაკიეთის (რაჭა) თემაღმასკომი შეუდგა ადგილობრივ ხიდის აგებას. სატყეო მასალა სამაზრო აღმასკომმა გასცა უფასოთ.

**ტყის დაცვის მიზნით.**

წალვერის თემაღმასკომმა დაადგინა აღიკრძალოს მოაგარაკეთა მიერ ჯოხებათ ახალგაზრდა ნაძვებისა და სხვა მცენარეთა მოჭრა.

**წყალსადენი წალვერში.**

წალვერის თემაღმასკომმა გადასწყვიტა გამოიყვანოს წყალსადენი სოფელში. ამ მიზნით უკვე შეიძინეს წყალსადენის მილები.

## პასუხი შეკითხვებზე.

**კითხვა.** დაბადებული ვარ 1902 წ. 1924 წ. შემოდგომაზე გაწვეული სამხედრო ბეგრის მოსახდელად. მყავს მოხუცი დედ-მამა და ერთი ძმა, რომელიც დაბადებულია 1903 წ. 1903 წ. დაბადებულებთან ერთად გაიყვანენ ჩემს ძმასაც თუ არა სამსახურში, როგორც ერთად ერთი ოჯახის მარჩენალს?

წ. არმ. დარჯანია.

**პასუხი.** თუ თქვენი მშობლები შრომის უნარს მოკლებულნი არიან და მამა 60 წლისაა და დედა 50 წლის, იმ შემთხვევაში თქვენს ძმას არ გაიყვანენ სამხედრო ბეგრის მოსახდელად.

**კითხვა.** ტერარმიელების ოჯახებს დახმარება უნდა აღმოუჩინონ თუ არა აღმასკომებმა?

წ. არმ. ნ.

**პასუხი.** თუ ტერ არმიელის ოჯახში შრომის უნარიანი არავინაა, იმ შემთხვევაში აღმასკომმა ასეთ ოჯახებს დახმარება უსათუოდ უნდა აღმოუჩინოს.

**კითხვა.** 1924 წ. შემოდგომაზე გამოწვეული წ. არმიელები თავისუფლდებიან თუ არა 1925 წ. შემოდგომაზე და თუ არა ეძლევათ მათ უფლება ისწავლონ უნივერსიტეტში?

წ. არმ. შ. ლ.

**პასუხი.** შემოდგომაზე იქნებიან განთავისუფლებულნი. სამსახურის გათავების შემდეგ შეიძლება უნივერსიტეტში სწავლა.

**კითხვა.** შემოდგომაზე მიწევს სამხედრო სამსახურში შესვლა, როგორც 1903 წ. დაბადებულს. მყავს ორასი სული ცხვარი. ჩემი წაყვანის შემდეგ ცხვარი რჩება უპატრონოთ. შეიძლება თუ არა ამ მდგომარეობამ გამანთავისუფლოს სამსახურიდან?

აკაკი თუხაშვილი.

**პასუხი.** ორასი სული ცხვარის ყოლა არ ანთავისუფლებს მოქალაქეს სამხედრო სამსახურისაგან.

# მეცნიერება და ტეხნიკა

**ოკეანის ძირიდან.**

ორი მყვინთავი, რომლებიც ირკვევდენ ოკეანის ძირს შეერთებულ შტატების სანაპიროების მახლობლად ოკეანის ძირიდან საუბრობდენ და უზიარებდენ ერთი მეორეს თავიანთ შთაბეჭდილებებს რადიოთი.

მყვინთავები მუშაობდენ 75 ფუტის სიღრმეზე და შეიარაღებული იყვნენ ახალ გამოგონებულ ძლიერი შუქის მფენ პროჟექტორებით.

მათი კასკების (მყვინთავების ტანისამოსის შიგნით) მოთავსებული იყო მიკროფონები. ისინი აღწერდენ თავის მოგზაურობას ოკეანის ძირზე, რომელიც ისმოდა შეერთ. შტატების თითქმის ყველა სანაპირო რადიო-სადგურებზე.

**რადიის (წამალია) ფასი ეცემა.**

მიუხედავათ იმისა, რომ მოთხოვნილება რადიისა მეტად გაიზარდა მისი ფასი მაინც ეცემა. პირველად რადის შოულობდენ მხოლოდ ავსტრალიაში. როცა რადიის მადნები აღმოაჩინეს ამერიკაში მისი ერთი გრამის ფასი 166.000 დოლარიდან დავიდა 100.000 —დოლ.—ამას წინეებზე ბელგიის კონგოში (ბელგიის ახალშენია აფრიკაში) აღმოჩენილ იქნა ყველაზე უფრო მდიდარი რადიის მადნები. ამის გამო მსოფლიო ბაზარზე ძალიან დაეცა რადიის ფასი. ის ღირს ეხლა 1 გრამი 70.000 დოლარი. წლიური მიღება რადიისა კონგოში კი აღწევს 25 გრამს.

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ.** ამხ. გვასალიას და გაბუნიას. მოგვაწოდეთ წერილები.

**ამხ.** რაფქროს. თქვენი წერილი „ქართ. მეთაურთა სკოლის ცხოვრებიდან“ არ გავა.

**ამხ.** ა—ნის. თქვენი საპასუხო წერილი შ. ნ—ძეს არ დაიბეჭდება. თქვენ თქვენს წერილში სწერდით, რომ სამეცადინო პროგრამა პარტსკოლას არ აქვსო. გამოირკვა რომ პროგრამა მას ქონია.

**ამხ.** ახათიანს. თქვენი წერილები „ვინ უნდა ჩავაბათ საერთო ტერკამპანიების ჩატარებაში“ და „დამოკიდებულება უფპოლიტშემადგენლობის შორის“. არ გავა. მსგავსი წერილები უკვე იყო ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი.

**ამხ.** კაკაბს. თქვენი წერილი „მესამე ათასეულის ცხოვრებიდან“ არ დაიბეჭდება. მოათავსეთ კედლის გაზეთში.

**ამხ.** ტერონეფს. „საჭიროა ყურადღების მიქცევა“ არ გავა. მოათავსეთ კედლის გაზეთში.

**ნ.** ჩხაიძეს. „რა უნდა ვაკეთოდ ლენინის კუთხეში“ არ გავა. მოგვაწოდეთ წერილები თუ როგორ მუშაობს კუთხე.

**კ.** პლატონს. „ჩვენი მიზანი“. არ გავა. მოგვაწოდეთ წერილები, თუ როგორ მუშაობთ ამ მიზნის მისაღწევად.

**ამხ.** ინაშვილს. „კარგად მუშაობს“. არ გავა. დასწერეთ კონკრეტიულად თუ რაში გამოიხატება მეთაურის კარგად მუშაობა.

**ამხ.** ჩიძს. „ბიბლიოთეკების მუშაობა“ არ გავა. წერილში ბიბლიოთეკების მუშაობაზე არაფერს სწერთ. მოიწერეთ თუ როგორ მუშაობს თქვენი ბიბლიოთეკა.

## ვის აქვს საწინაალმდეგო?

მე-6 ტერლეგიონის მე-10 კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტიის კანდიდატად მიღების შესახებ ოცისთავის თანაშემწეს, ოზურგეთის მაზრის მცხოვრებს, ამხ. გიორგი ევტიხის ძე ფოცხიშვილს. თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო, ვსთხოვთ გვაცნობონ ერთი კვირის განმავლობაში მე-6 ტერლეგიონის მე-3 ათასეულის

მე-10 კომუჯრედში.

---

მე-6 ლეგიონის მე-9 კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტიის კანდიდატათ, მიღების შესახებ მე-7-ასეულის მამასახლის ამხ. გრიგორი ივანესძე რობაქიძეს, მცხოვრები სენაკის მაზრის, სოფელ შხეფის. თუ ვინმეს აქვს საწინააღმდეგო გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში.

მე-6-ტერლეგიონის მე-3-ე ათასეულის მე-9-ე კომუჯრედში.

---

1-ლ ქ. მ. დ. ცალკე მესანგრე ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება პარტიის კანდიდატობიდან პარტიის წევრად გადარიცხვის შესახებ: 1. ამხ. მაიერი პავლე გუსტავის ძე, თბილისის მცხოვრები, 2. ამხ. ნაზაროვი ივანე ალალოს ძე, თბილისის მცხოვრები, 3. ამხ. ტერ-ოგანეზოვი გრიგორი ვართანის ძე, თბილისელი. ყველა ზემო აღნიშნული ამხ. არიან საქ. კომპარტიის კანდიდატები და თხოულობენ პარტიის წევრათ გადარიცხვას.

ახ. ლენინელთა კომუნისტური ჯგუფში აქვთ შემოტანილი განცხადებები ქვემო ჩამოთვლილ ამხ., რომლებიც თხოულობენ კომკავშირის წევრებად მიღებას: 1. ბატიაშვილი ვასილი, თელავის მაზრა, სოფ. ქვემოხოდაშენი, 2. დავითელაშვილი დავითი, გორის მაზრა, სოფ. ნიაბი, 3. დვალი ალექსანდრე, რაჭის მაზრა, სოფ. შავრა, 4. გიორგელაშვილი გიორგი, თელავის მაზ. სოფ. კურდღელაური, 5. კაცაძე გრიგორი, 6. ჰყოიძე ივანე, შორაპნის მაზრა, 7. გელბახიანი მიხეილი, შორაპნის მაზრა, 8. ვაშაკაშვილი ბესო, 9. კიკვიძე ამბროსი, რაჭის მაზრა, სოფ. ცახი, 10. ვახვახიშვილი ნიკო, თელავის მაზრა, 11. აფრიამყილი სერგო, თელავის მაზრა, 12. ვეფხვაძე იპოლიტე, შორაპნის მაზრა, 13. ცუცქირიძე ვარლამ, შორაპნის მაზრა, 14. სუქნიძე გრიგორი, შორაპნის მაზრა. თუ ვისმეს აქვს საწინააღმდეგო გთხოვთ გვაცნობოს წერილობით ცალკე მესანგრე ასეულის კომუჯრედს.

კომუჯრედის მდივანი ჯავახოვი.

---

**დაიკარგა** სამხედრო ჰოსპიტალიდან მოცემული მოწმობები. საექიმო კომისიის დადგენილება № 7484, ატესტატი № 3864, ავათმყოფობის ისტორია № 1523 ჩაითვალოს გაუქმებულად.

1-ლ. ქ. მ. ლ. წ. მ. გიორგი ტატანაშვილი.

---

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

ნ. დ. ს. ც.

სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.